ხელშეკრულება №02/91
(გამარტივებული შესყიდვა)

(2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური)

ქ. თბილისი „1" „03" 2011წ.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.2.6 "მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის პაატა სულაბერიძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს"იმერეთის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფო" მისი** დირექტორის **კონსტანტინე ხელაძის** სახით (შემდგომში მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №199 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ თავისუფლება აღკვეთილ პატიმართა საჭიროებისათვის **პროფილის ფარგლებში სპეციალისტის კონსულტაციის, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების, ამბულატორიული მკურნალობის, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევების და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა მომსახურების** შესყიდვა. მომსახურებების ღირებულებები წარმოდგენილია დანართის სახით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.
4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ხარისხი

5.1 მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან **2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
5.2 მომსახურება გაწეულ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: **ქ.ქუთაისი ოცხელის №2.**
5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. შესყიდვის ობიექტის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს ანგარიშ-ფაქტურას თანდართულ მომსახურების კალკულაციასთან ერთად.
6.2 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან ხელს მოაწერს იმ სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის უფროსი ექიმი ან სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმი, რომელი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდანაც მოხდება პატიმრის გაყვანა, მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი გადაეცემა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის **უფროსს ბატონ დავით ასათიანს,** რომელიც შემოწმების შემდეგ შესაბამისი ხელმოწერით დაადასტურებს აქტის სისწორეს.
6.3 6.1 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შემსყიდველ ორგანიზაციაში პაციენტის გაწერიდან 14 დღის განმავლობაში.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.

7.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.**
7.4 მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ-ფაქტურისა და კალკულაციის გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

8. მხარეთა უფლებება-მოვალეობები

8.1. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) **ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გაუწიოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თავისუფლებაღკვეთილ პატიმარს პროფილის ფარგლებში სპეციალისტის საკონსულტაციო, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების, ამბულატორიული მკურნალობის, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევების და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა

რიგგარეშე მომსახურება მიმწოდებელთან დადგენილი შიდა სტანდარტის (მომსახურების ფასები) შესაბამისად.
ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
დ) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;
ე) ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების თანხის ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ანაზღაურება.

8.2 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**
ა) მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
ბ) **უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.**
გ) უზრუნველყოს "მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღის განმავლობაში.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების

მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ დღეზე მათ მიერ ვალდებულებების არაჯეროვანი შერულების დასრულებამდე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება სამინისტროს მხრიდან **სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის** მ/შ-ის **კახაბერ იშხნელის** მიერ.
14.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
14.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და **მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

17. სხვა პირობები

18.2. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42
ტელ: 31-27-39
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

„მიმწოდებელი"

შპს „იმერეთის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფო"
მის: ქ. ქუთაისი, ოცხელის №2.
ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი № BAGAGE22
ანგარიშის №GE17BG0000000394457600
საინდ/კოდი №412672424

მინისტრის პირველი მოადგილე
პაატა სულაბერიძე

დირექტორი
კონსტანტინე ხელაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ:

ვიზირებულია:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4 პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №02/91 ხელშეკრულებით (**გამარტივებული შესყიდვა**) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის პირველი მოადგილე	პ. სულაბერიძე
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი	გ. გორაძე
სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი	დ. ასათიანი
სამედიცინო ანალიზისა და კონტროლის სამმართველოს უფროსი	კ. იშხნელი
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	ა. ჯებისაშვილი
შესყიდვების სამმართველოს უფროსი	ლ.მაღლაკელიძე
საბუღალტრო სამმართველოს უფროსი	ე. ალიმბარაშვილი